



## საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000080550553019

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 16

03 / აპრილი / 2019 წ.

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

#### ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-ს 90-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

#### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“ დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად



თამარ ყვინიშვილი

# ანგარიში ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

## საშემოსავლო ნაწილი

### შემოსულობები

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის იანვარ-დეკემბერში შემოსულობების გეგმა განსაზღვრული იყო 11872,0 ათასი ლარით. ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 12 002.6 ათასი ლარი. წლიური გეგმის 101.1%. (საკუთარი შემოსულობების გეგმა შეადგენდა 8023.9 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 8289.4 ათასი ლარი.)

- შემოსავლების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო - **11812.0** ათ. ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 11980.9 ათ. ლარი. წლიური გეგმის 101.4% (საკუთარი შემოსავლების ოდენობა გეგმით შეადგენდა 7963.9 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 8267.7 ათასი ლარი).
- არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო- 60,0 ათ. ლარით. 12 თვეში ფაქტიურად შემოვიდა 21.6 ათ. ლარი. წლიური გეგმის 36%.

### შემოსავლები:

2018 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული შემოსავლების ოდენობამ წლიური გეგმის მიმართ შეადგინა 101.4 %-ი, მათ შორის:

ა) გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობა-1880.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2242.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 119.3 %. საიდანაც

- საშემოსავლო გადასახადის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 280,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მიღებული იქნა 366.6 ათასი ლარი. გეგმის 130.9%.

- ქონების გადასახადის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1600,0 ათ. ლარი. ხოლო ფაქტიურად მიღებული იქნა 1875.6 ათ.ლარი. გეგმის 117.2% აქედან,

- საწარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების მოცულობამ შეადგინა 1231.6 ათასი ლარი. წლიური საპროგნოზო მოცულობის (1134.0 ათასი ლარი) 108.6 %.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 573.7 თასი ლარი წლიური საპროგნოზო მოცულობის (430.0ათასი ლარი) 133.4%.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 62.9 ათასი ლარი. წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (36.0 ათასი ლარი) 174.7%.

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტების( ტრანსფერები) წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 8966.6 ათასი ლარი. ფაქტიურად მიღებული იქნა 8831.7 ათასი ლარი. მათ შორის:

- გათანაბრებითი ტრანსფერის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 4988.5 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულია 4988.5 ათ. ლარი.
- მიზნობრივი ტრანსფერის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) შეადგინა 130,0 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულია 130,0 ათ. ლარი.
- ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიღებული იქნა 3713.2 ათასი ლარი.

გ) სხვა შემოსავლების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 965.4 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 907.0 ათ. ლარი. წლიური გეგმის 94.0 %. აქედან:

- ბანკის პროცენტის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 60.5 ათ. ლარი. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 67.0 ათ. ლარი. წლიური გეგმის 110.7%.
- ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებლის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 585.9 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 506.3 ათ. ლარი.
- მიწის იჯარიდან შემოსავალის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 92.0 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 89.2 ათასი ლარი.
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 67,0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 82.5 ათასი ლარი. აქედან :
- სანებართვო მოსაკრებლის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 12,0 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 8,2 ათ. ლარი.
- დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 20,0 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 24.1 ათ. ლარი.
- შემოსავლების ფაქტიურმა ოდენობამ შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან შეადგინა 50.1 ათასი ლარი.
- ჯარიმებიდან და სანქცია-საურავების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 160,0 ათ. ლარი. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 152,6 ათ. ლარი.

## მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთების საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის

2018 წლის 1 იანვრისათვის ახმეტის მუნიციპალიტეტში ნაშთის სახით ირიცხებოდა 855.6 ათასი ლარი (სახელმწ. ბიუჯეტის სახსრებიდან 181.6 ათასი ლარი, საკუთარი სახსრების ნაშთიდან 674.0 ათასი ლარი), რომელიც ბიუჯეტის ცვლილების შედეგად ასახული იქნა ხარჯებში. 2018 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ნაშთის ოდენობამ შეადგინა 2696,4 ათასი ლარი. საიდანაც 2019 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლებში ასახული იქნა 2619.3 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთიდან ასახულმა თანხამ შეადგინა 1913,6 ათ. ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან 705,7 ათასი ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან 2018 წლის ვალდებულებების დაფარვას მოხმარდება 364,1 ათ. ლარი, ხოლო 341,6 არის თავისუფალი ნაშთის სახით).

### გადასახდელები ( ხარჯები )

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის გეგმით გასაწევი გადასახდელები განისაზღვრა 12727,5 ათ. ლარით. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 10201,2 ათ. ლარი. საკუთარი სახსრებით გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 8258,1 ათასი ლარი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

1. შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1626,6 ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1578,8 ათასი ლარი;
2. საქონელი და მომსახურების მუხლით წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 878,6 ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 803,6 ათ. ლარი.
  - 2.1. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების წლიური გეგმის ოდენობა განისაზღვრა 95,9 ათასი ლარით. გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 92,7 ათასი ლარი
  - 2.2. მივლინების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 24,1 ათასი ლარი. გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 17,8 ათასი ლარი, საიდანაც ქვეყნის გარეთ მივლინებებზე დაიხარჯა 4,0 ათასი ლარი.

- 2.3. ოფისის ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 439,2 ათასი ლარი. გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 415,1 ათასი ლარი.
- 2.4. წარმომადგენლობითი ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 34,5 ათასი ლარი, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 33,5 ათასი ლარი.
- 2.5. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 160,9 ათასი ლარი . გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 145,4 ათასი ლარი.
- 2.6. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 121,0 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 96,1 ათასი ლარი.
3. სუბსიდიების მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 4433,0 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 4404,9 ათასი ლარი.
4. სოციალური უზრუნველყოფის მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 389,4 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 336,7 ათასი ლარი.
5. სხვა ხარჯების მუხლით გასაწევი ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმა განისაზღვრა 106,6 ათასი ლარით, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 97,0 ათასი ლარი.
6. არაფინანსური აქტივების ზრდა წლიური გეგმით განისაზღვრა 5209,8 ათასი ლარით, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 2897,1 ათასი ლარი.

## **მუნიციპალიტეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში**

### **მუნიციპალიტეტის საკრებულო**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯების 2018 წლის გეგმა განისაზღვრა 530,9 ათ. ლარით. ფაქტიურად გაიხარჯა - 509,6 ათ. ლარი. გეგმის 95,9%

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურების წლიური გეგმა განისაზღვრა 370,8 ათას ლარით. ათვისებულია 370,7 ათასი ლარი.
2. საქონელი და მომსახურების წლიური გეგმა განისაზღვრა 94,6 ათას ლარით. ათვისებულია 79,0 ათ. ლარი.
- 2.1 შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების წლიური გეგმა განისაზღვრა 28,9 ათასი ლარით. ათვისებულია 26,5 ათ. ლარი.
- 2.2 მივლინების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 4,8 ათასი ლარით. ათვისებულია 2,0 ათ. ლარი. მათ შორის ქვეყნის გარეთ ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1.2 ათ. ლარი
- 2.3 ოფისის ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 13,9 ათასი ლარით. ათვისებულია 11,3 ათ. ლარი.
- 2.4 წარმომადგენლობითი ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 4,0 ათასი ლარით. ათვისებულია 4,0 ათ. ლარი.
- 2.5 ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა - შენახვის ხარჯის წლიური გეგმა განისაზღვრა 42,2 ათასი ლარით. ათვისებულია 34,5 ათ. ლარი.
- 2.6 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 0,8 ათასი ლარით ათვისებულია 0,7 ათ. ლარი.
- 2.7 სხვა ხარჯების (საკრებულოს წევრეთა კომპენსაცია) წლიური გეგმა - 63,5 ათ. ლარი, გახარჯულია 59,8 ათ. ლარი.

## მუნიციპალიტეტის მერია

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 1772,1 ათ. ლარით. ფაქტიურად ათვისებული იქნა 1677,5 ათ. ლარი. გეგმის 94,6%

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 1186,2 ათასი ლარით. ათვისებულია 1144,6 ათასი ლარი.
2. საქონელი და მომსახურების წლიური გეგმა განისაზღვრა 389,9 ათასი ლარით. ათვისებულია 380,0 ათ. ლარი.
  - 2.1 შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 60,7 ათასი ლარით. ათვისებულია 59,9 ათ. ლარი.
  - 2.2 მივლინების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 13,0 ათასი ლარით. ათვისებულია 12,5 ათ. ლარი. მათ შორის ქვეყნის გარეთ ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 2,3 ათ. ლარი.
  - 2.3 ოფისის ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 115,7 ათასი ლარით. ათვისებულია 113,2 ათ. ლარი.
  - 2.4 წარმომადგენლობითი ხარჯის წლიური გეგმა განისაზღვრა 30,5 ათასი ლარით. ათვისებულია 29,5 ათ. ლარი.
  - 2.5 ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯის წლიური გეგმა განისაზღვრა 86,7 ათასი ლარით. ათვისებულია 85,7 ათ. ლარი.
  - 2.6 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 82,0 ათასი ლარით. ათვისებულია 78,0 ათ. ლარი.
3. სუბსიდიების მუხლით გახარჯულია 7,0 ათ. ლარი
4. გრანტები - 12,5 ათ. ლარი.
5. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 14,6 ათ. ლარი.
6. არაფინანსური აქტივები ზრდის (კაპიტალური) წლიური გეგმა განისაზღვრა 158,3 ათ. ლარით. ფაქტი შეადგენს 115,3 ათ. ლარს.

## სარეზერვო ფონდი

2018 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდი გათვალისწინებული იყო 50,0 ათასი ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა 12 თვეში შეადგინა 35,2 ათ. ლარი, რომელიც გახარჯული იქნა შემდეგი სახის სამუშაოებისა და საქონლის დასაფინანსებლად:

- სოფ. ახშანში სასამელი წყლისთვის ახალი ტუმბოს შეძენა - 4,7 ათ. ლარი ;
- ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ პირთა სოციალური დახმარება - 23,7 ათ. ლარი.
- სოფ. კასრისწყალში მცხოვრებთათვის საწვავი შეშის ტრანსპორტირება - 3,5 ათ. ლარი.
- ახმეტის მუნიციპალიტეტის მკვირდრის საქართველოს 8 გზის აბსოლუტური ფალავანის, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის ალექსი დავითაშვილისათვის მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად გამოიყო თანხა 1,0 ათ. ლარის ოდენობით;
- ახმეტის მუნიციპალიტეტის დოფელ ჯოჯოლოში, კულტურის სახლში არსებული სსპორტული დარბაზის ჩამტვრეული იატაკის აღდგენა - 2,3 ათ. ლარი.

## შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები

შესყიდვებთან დაკავშირებულმა ხარჯმა შეადგინა 4,2 ათ. ლარი. წლიური გეგმა იყო 6,2 ათ. ლარი.

## **მგფ-ის სესხის დაფარვა**

სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში 2018 წელს პროცენტის სახით გადახდილია 70,7 ათ. ლარი.

## ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამადლების ხელშეწყობა

### **სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.**

წლიურმა გეგმამ შეადგინა 86,0 ათას ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა - 79,6 ლარი. შესრულება 92,5 %.

1. შრომის ანაზღაურების წლიურმა გეგმამ შეადგინა 69,6 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 63,4 ათასი ლარი .
2. საქონელი და მომსახურების წლიურმა გეგმამ შეადგინა 16,4 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 16,2 ათასი ლარი.
- 2.1 შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების წლიურმა გეგმამ შეადგინა 6,3 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 6,3 ათასი ლარი.

## ინფრასტრუქტურა, მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2018 წლის ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ინფრასტრუქტურის, მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციის ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 5476,6 ათ. ლარით, (სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები - 3717,9 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტი 1758,7 ათ. ლარი). ფაქტიურად გაიხარჯა 3452,1 ათასი ლარი.

### **გზების, ხიდების მშენებლობა, რეკონსტრუქცია მოვლა- პატრონობა**

- გზების, ხიდების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯების წლიური გეგმა - 3469,7 ათ. ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1600,3 ათ. ლარი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით დაფინანსებულია შემდეგი პროექტები:

- ქ. ახმეტაში ბითაანის ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთების სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იყო 87,1 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 54,1 ათ. ლარის სამუშაოები 2018 წლის ბოლოს. საკასო შესრულებამ შეადგინა 62,7 ათ. ლარი (ავანსის

გათვალისწინებით). დღეისათვის გრძელდება სამუშაოები. სარეაბილიტაციო ქუჩის სიგრძე მოიცავს 400 მეტრს, სარგებლობს 200-მდე ბენეფიციარი.

- ქ. ახმეტაში წყაროების გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთების სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იყო 498,2 ათასი ლარი, 2018 წლის ბოლოსათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 181,7 ათასი ლარი (ავანსის გათვალისწინებით). დღეისათვის სამუშაოები მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთია 2200 მეტრი, აღნიშნული გზით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 550-მდეა.
- ქ. ახმეტაში ფშავის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იყო 55,3 ათასი ლარი, 2018 წლის ბოლოსათვის ფაქტიურად შესრულებულია 47,5 ათ. ლარის სამუშაოები. დღეისათვის გრძელდება სამუშაოები. აღნიშნული ქუჩის სიგრძე შეადგენს 371 მეტრს, სარგებლობს 340-მდე ბენეფიციარი.
- ქ. ახმეტაში ალავერდის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იყო 112,7 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 109,3 ათასი ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 101,4, რადგან დაკავებულია საგარანტიო თანხა 2,5%. დღეისათვის თითქმის დასრულებულია სამუშაოები. სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთია 636 მეტრი, აღნიშნული გზით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 750-მდეა.
- ქ. ახმეტაში ალაზნის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იყო 71,5 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 70,2 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 67,1 ათასი ლარი. დაკავებულია საგარანტიო თანხა 2,5%. დღეისათვის თითქმის დასრულებულია სამუშაოები. სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთია 505 მეტრი, აღნიშნული გზით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 560-მდეა.
- ქ. ახმეტაში თიანეთის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 49,4 ათასი ლარი, ლარი, 2018 წლის ბოლოსათვის ფაქტიურად შესრულებულია 44,9 ათ. ლარის სამუშაოები. დღეისათვის გრძელდება სამუშაოები. აღნიშნული ქუჩის სიგრძე შეადგენს 465 მეტრს, სარგებლობს 450-მდე ბენეფიციარი.
- ქ. ახმეტაში წერეთლის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 126,4 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 118,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 114,7 ათასი ლარი. დაკავებულია საგარანტიო თანხა 2,5%. დღეისათვის თითქმის დასრულებულია სამუშაოები. სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთია 998 მეტრი, აღნიშნული გზით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 1250-მდეა.
- სოფელ ხორხელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იყო 687,2 ათ. ლარი. 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით საკასო ხარჯი შეადგენს 275,7 ათ. ლარს, ავანსის გათვალისწინებით. დღეისათვის გრძელდება სამუშაოები. სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთია 3551 მეტრი, აღნიშნული გზით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 850-მდეა.

- ქ. ახმეტაში საბეროს უბნის მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 235,8 ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან გადასახდელია 7,9 ათ. ლარი, ხოლო რეგ. პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 227,9 ათ. ლარს. 2018 წლის ბოლოსთვის შესრულებამ შეადგინა 229,1 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა 222,2 ათასი ლარი. სამუშაოები დასრულებულია და დაკავებულია საგარანტიო თანხა. სარეაბილიტაციო უბნის სიგრძეა 1110 მეტრი, ხოლო გზით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 180 - მდე
- ქ. ახმეტაში გაგარინის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 303,5 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 90,4 ათასი ლარი (ავანსის გათვალისწინებით). დღეისათვის გრძელდება სამუშაოები. აღნიშნული ქუჩის სიგრძე შეადგენს 2220 მეტრს, სარგებლობს 850-მდე ბენეფიციარი.

2018 წლის ბოლოს მთავრობის განკარგულებაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად 25 დეკემბერს შპს “გზამშენთან“ გაფორმდა ხელშეკრულება შემდეგი ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე:

- ქ. ახმეტაში გურამიშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 146,6 ათ. ლარს. (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან გადასახდელია 16,0 ათ. ლარი, ხოლო რეგ. პროექტების ფონდიდან გამოყოფილია 130,6 ათ. ლარი). დღეისათვის მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული ქუჩის სიგრძეა 630 მეტრი, სარგებლობს 1200-მდე ბენეფიციარი.
- ქ. ახმეტაში ფალიაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 128,9 ათ. ლარი ლარს. (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან გადასახდელია 8,1 ათ. ლარი, ხოლო რეგ. პროექტების ფონდიდან გამოყოფილია 120,8 ათ. ლარი). დღეისათვის მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული ქუჩის სიგრძეა 755 მეტრი, სარგებლობს 550-მდე ბენეფიციარი.
- სოფელ დუისი-წინუბნის დამაკავშირებელი გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთების სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 397,1 ათ. ლარი. (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან გადასახდელია 8,1 ათ. ლარი, ხოლო რეგ. პროექტების ფონდიდან გამოყოფილია 120,8 ათ. ლარი). დღეისათვის მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 1700 მეტრს, ხოლო ბენეფიციართა რაოდენობა 580-მდეა.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულია შემდეგი ობიექტების მშენებლობა:

- ზ. ალვანის შიდა საუბნო გზის მოზრეშვა - 11,7 ათ. ლარი.
- სოფ. ქისტაურის საუბნო გზის და დედისფერულში მიმსასვლელი გზის მოზრეშვა - 23,3 ათ. ლარი
- სოფ. მატნის შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია - 45,6 ათ.ლარი
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სავარგულებთან მისასვლელი გზების მოზრეშვა - 20,1 ათ. ლარი
- თუშეთის შიდა გზების რეაბილიტაცია - 79,5 ათ.ლარი
- თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია 37,6 ათ. ლარი
- ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია 30,9 ათ. ლარი
- სოფ. ბირკიანში ყურეს ხევზე ხიდის მოწყობა 15,1 ათ. ლარი



- ქ. ახმეტაში ჭანტურიას ქუჩის რეაბილიტაციის ღირებულება შეადგენს 138,4 ათ. ლარს. აქედან კომპანიას ავანსის სახით გადაერიცხა 14,2 ათ. ლარი. დღეისათვის გრძელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ტექნიკური ზედამხედველობისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 52,6 ათ. ლარი
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენის ხარჯი 6,2 ათ. ლარი

### წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე და ექსპლუატაციაზე წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 525,1 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 501,4 ათასი ლარი .

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით გამოყოფილი თანხების შესაბამისად,

- სოფელ ქვ. ალვნის წყალსადენის მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იყო 429,3 ათასი ლარი. (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან 5,3 ათ. ლარი, რეგ. პროექტების ფონდიდან 424,0 ათ. ლარი). ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 427,9 ათ. ლარი საკასო შესრულებამ - 417,2 ათ. ლარი. სამუშაოები დასრულებულია, დაკავებულია საგარანტიო თანხა. რეაბილიტირებული ობიექტით ისარგებლებს 3500-მდე ბენეფიციარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან გახარჯულია:

- ჭაბურღილებზე მოხმარებულ ელ. ენერგიაზე გაიხარჯა 54,1 ათ. ლარი
- ტექნიკური ზედამხედველობისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 23,5 ათ. ლარი

### სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

წლიური გეგმა - 47,5 ათ. ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 44,2 ათასი ლარი.

- ქვ. ალვნის სარწყავი არხის მოწყობის ხარჯი 12,4 ათ. ლარი.
- სოფ. ჯაბურში სოფლის ტერიტორიის დაცვის მიზნით მდინარე ილტოს კალაპოტის რეგულირება - 5,5 ათ. ლარი.
- ზ.ალვანის სარწყავი არხის მოწყობის ხარჯი 8,2 ათ. ლარი
- მდ. ორვილზე ნაპირსამაგრი დამცავი გაბიონებების მოწყობის ხარჯი 8,3 ათ. ლარი
- 2015 წლის განკარგულებით გამოყოფილი თანხებით ქ.ახმეტაში ალვნის ნაპირსამაგრი ნაგებობების მთლიანი ღირებულების 2,5% (საგარანტიო თანხა) გადახდა მოხდა 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან. (9,2 ათ. ლარი)
- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 0,6 ათ. ლარი.

### გარეგანათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

გამოყოფილი თანხების მოცულობამ წლიური გეგმით შეადგინა 240,0 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 231,1 ათ. ლარი. (გარე განათების ქსელებზე მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება)

## **ხეების გაწმენდა ნატანისგან**

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით გამოყოფილი თანხების შესაბამისად, ქ. ახმეტაში მდ. ორვილის კალაპოტის გაიწმინდა ნატანისგან. სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 206,2 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 201,0 ათ. ლარი, დაკავებულია საგარანტიო თანხა. გაიწმინდა 3300 გრძივი მეტრის/250 000 მ<sup>3</sup> კალაპოტი. საზედამხედველო სამუშაოებმა შეადგინა 11,3 ათ. ლარი.

## **სპეც. ტექნიკის შეძენა**

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით შეძენილია სპეც. დანიშნულების ავტომანქანა (FORD TRANZIT) - 16,8 ათ. ლარის ღირებულების, რომელიც გადაეცა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სასახურს.

## **სკვერების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯები**

სკვერების მოწყობა რეაბილიტაციისათვის 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 33,2 ათასი ლარი. ფაქტიური ხარჯის ოდენობამ შეადგინა 28,3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხიდან

- ქ. ახმეტაში უტოს უბანში სკვერის მოწყობის ხარჯი 13,8 ათ. ლარი.
- სოფ. ომალოს სკვერისათვის შეძენილი ფანჩატურის ხარჯი 2,1 ათ. ლარი
- სოფ. ხორბალოს სკვერისათვის ატრაქციონის შეძენა 3,4 ათ. ლარი
- ს.მატნის სკვერის მოწყობის თანადაფინანსებაზე გაიხარჯა 8,9 ათ. ლარი.

## **სოფლის პროგრამა**

სოფლის პროგრამის 2016 წლის ნაშთიდან შესრულდა სოფლების: წინუბნისა და მატნის შიდა საუბნო გზების მოხრეშვის სამუშაოები 8,4 ათ. ლარის ღირებულების.

## **ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახურის ფუნქციონირებისათვის**

2018 წელს გეგმით გამოყოფილი იყო 533,0 ათასი ლარი, ა(ა)იპის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესრულებაზე ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 523,3 ათასი ლარი.

## **ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრის ფუნქციონირებისათვის**

2018 წლის გეგმით გამოყოფილი იყო 315,4 ათასი ლარი, საიდანაც სუბსიდირების მუხლით გათვალისწინებული იყო 231,0 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 84,0 ათასი ლარი. განხორციელებული სამუშაოების შესრულებაზე დახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 315,1 ათასი ლარი.

## **საგანმანათლებლო ღონისძიებები**

საგანმანათლებლო ღონისძიებების წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 2071,8 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 1806,6 ათასი ლარი.

#### **ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ფუნქციონირებისათვის**

2018 წელს გეგმით გამოყოფილი იყო 1610,0 ათასი ლარი, ა(ა)იპის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესრულებაზე ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1587,4 ათასი ლარი. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 1049,6 ათ. ლარი, ხოლო ბავშვთა კვებაზე 360,5 ათ. ლარი. კაპიტალური ხარჯი შეადგენს 19,7 ათ. ლარს.

- საქ. მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით სოფ. ქვ. ალენის N1 საბავშვო ბაღის შენობა ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი იყო 246,9 ათასი ლარი. საკასო ხარჯმა (ავანსის სახით შეადგინა 45,0 ათ. ლარი). დღეისათვის გრძელდება სამუშაოები.
- ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებიდან მუნიციპალიტეტში არსებულ ბაღებს რეაბილიტაცია ჩატარდათ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით. თანხამ მთლიანობაში შეადგინა 75,6 ათ. ლარი. ასევე, ადგ. ბიუჯეტიდან დაფინანსდა სოფ. ზემო ალენის საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია - 27,8 ათ. ლარის ოდენობით.

#### **სპორტულ - კულტურული ღონისძიებები**

სულ სპორტულ-კულტურული ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 1844,3 ათასი ლარი, წლიური გეგმა შეადგენს 1877,8ათ. ლარს.

სპორტული - კულტურულ ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხები ათვისებულ იქნა შემდეგ ღონისძიებებზე:

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე 2018 წელს წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 95.2 ათ. ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 85.0 ათასი ლარი. აქედან:

- ქ.ახმეტაში სატრენაჟორო სახლის რეაბილიტაციაზე სულ გაიხარჯა 73,3 ათ. ლარი, რომელიც დაიწყო 2017 წელს (საკასო ხარჯი 37,6 ათ. ლარი) და დასრულდა 2018 წელს (საკასო ხარჯი 35,7 ათ. ლარი);
- ქ. ახმეტაში ალაზანმშენის დასახლებაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა 21,7 ათ. ლარი.
- ქ. ახმეტის სატრენაჟორო სახლისათვის სპორტული საქონლის შეძენა 12,7 ათ. ლარი.
- სოფ. მატნის სპორტ. კომპლექსში კალათბურთის ფარების და მისი სამაგრი მეტალის კონსტრუქციის მონტაჟი 1,1 ათ. ლარი
- დუისის საჭიდაო დარბაზის მოწყობის ხარჯი 4,3 ათ. ლარი.
- მატნის სპორტკომპლექსის გაზიფიცირებასა და ელ. ენერგიაზე მიერთების ხარჯმა შეადგინა 8,7 ათ. ლარი.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 0,8 ათ. ლარი.

#### **კლუბები**

- ქვ. ალენის კულტურის სახლის რეაბილიტაცია 12,8 ათ. ლარი

#### **ახალგაზრდული და სპორტული ორგანიზაციები**

- ახალგაზრდული ღონისძიებების წლიური გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს. ფაქტიურად გაიხარჯა 15,8 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფუნქციონირებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 469,8 ათასი ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 468,2 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის ზ.ზვიადაურის ძიუდოს სასპორტის სკოლის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 238,0 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 238,0 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 173,7 ათასი ლარით. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 173,7 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტიონი“ს ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 168,0 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 159,8 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ მამიაურის სახელობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 197,5 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 197,4 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 137,5 ათასი ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 135,7 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 40,0 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 39,9 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 145,5 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 144,8 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ მუნიციპალური ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 171,4 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 167,8 ათასი ლარი.

### მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით 2018 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 815,8 ათასი ლარი. ფაქტიურად დაიხარჯა 756,5 ათასი ლარი.

- ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსებულია 71,5 ათასი ლარით.
- ა(ა)იპ სოციალური სახლის სუბსიდირებამ შეადგინა 294,6 ათასი ლარი. მ.შ. 270 ბენეფიციარის კვებაზე გაიხარჯა 137.6 ათასი ლარი.
- ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისათვის, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 80 000-მდე (ქულის მინიჭების თარიღიდან გასული უნდა იყოს არაუმეტეს ერთი წელი) დახმარების ოდენობამ 100 ბენეფიციარზე შეადგინა 10.0 ათ.ლარი.
- სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშების დაფინანსება (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედის მომსახურებისა) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემის მქონე ავადმყოფებისათვის შესაბამისი მედიკამენტების თანადაფინანსების თანხის ფაქტიურმა ოდენობამ 858 ბენეფიციარზე შეადგინა 238.3 ათ.ლარი.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (18 წლამდე) ბავშვები უდემამო ბავშვები (18 წლამდე) სასურსათო პაკეტი მაღალმთიანი რეგიონის (თუშეთი) მუდმივად მცხოვრებთათვის 103 ბენეფიციარზე ფაქტიურმა ხარჯმა 6.5 ათ. ლარი
- 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა დახმარება - 6 ბენეფიციარზე ხარჯმა შეადგინა 0,6 ათ. ლარი
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 8 ოჯახს გაეწია დახმარება. სულ ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 2,0 ათასი ლარი
- მრავალშვილიანი (რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი და არ იღებენ „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ მე-5 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის იმავე მუხლის 21 პუნქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ ფულად დახმარებას) ოჯახების დახმარებამ - 43 ბენეფიციარზე შეადგინა 4,3 ათ. ლარი
- პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკამდე, (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა) -ოჯახების დახმარებამ 117 ბენეფიციარზე შეადგინა 18.5 ათ. ლარი
- ოჯახების, რომელთაც ხანძრის ან სტიქიის შედეგად დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი (17 ბენეფიციარს) გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა 5.1 ათ. ლარი
- უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი (1 ბენეფიციარზე) შეადგინა 250 ლარი
- მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების შეძენისათვის დაიხარჯა 1.2 ათ. ლარი
- დიალიზის პროგრამით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირების ხარჯებმა 16 ბენეფიციარზე შეადგინა 8,0 ათ. ლარი
- განსაკუთრებულ შემთხვევებში „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური დახმარების ოდენობამ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრები ეკონომიკურად გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი იმ ფიზიკური პირების და ოჯახებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან, 72 ბენეფიციარზე შეადგინა 26.1 ათ.ლარი
- უსინათლოთათვის ერთჯერადი დახმარების ოდენობამ 16 ბენეფიციარზე შეადგინა 2,4 ათ. ლარი
- დაუნის სინდრომის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების ოდენობამ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისთვის 8 ბენეფიციარზე შეადგინა 1,2 ათ. ლარი.
- აუტიზმის მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება 1 ბენეფიციარზე 150 ლარი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე შშმ პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება 8 ბენეფიციარზე 2,0 ათ. ლარი;
- სამამულო ომის ვეტერანთა სადღესასწაულო დახმარება 3 ბენეფიციარზე 750 ლარი.
- კასრისწყლისა და ილტოს ხეობის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების წლიური გეგმა შეადგენდა 23,3 ათ. ლარს. გახარჯულია 20,9 ათ. ლარი.
- წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსების ხარჯები შეადგენს 18,4 ათ. ლარს.